პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 44 (20085) შაბათი, 20 თებერვალი, 1988 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

ჯილდოები გადასცეს

19 თებერვალს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ლენინის ორდენი გადასცა პოლიტბიუროს წევრს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ვ. შჩერბიცკის. იგი დაჯილდოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. პ. ნიკონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, დ. ტ. იაზოვი, ი. დ. მასლიუკოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ფ. სოლოვიოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ო. დ. ბაკლანოვი, ა. პ. ბირიუკოვი, ა. ა. დობრინინი, ა. ი. ლუკიანოვი, ვ. ა. მედვედევი, ი. ვ. კაპიტონოვი. (საკდსსი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ფელს უკეთესად

ლაგოდეხის რაიონის მეცხოველეები, რომლებმაც შარშან გამიმარჯვეს ხორცის, რძისა და ცხვრის პროდუქტების წარმოების ზრდისათვის გაძლიერ საკავშირო შეჯიბრებაში, წარმატებით სძლევენ ახალ მიჯნებს. წლის დამდეგიდან მათ უკვე მიიღეს 2280 ცენტნერით მეტი რძე, ვიდრე 1987 წლის შესაბამის პერიოდში. ამის გარდა დამამზადებელ პუნქტებს გეგმის გადაჭარბებით ჩაბარეს 110 ტონა ხორცი.

ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობენ ცოდნისკარის, ყარსუბნის, ავგენისა და რაიონის სხვა სოფლების კოლმეურნეები. მათ უკვე შეასრულეს ხორცისა და რძის წარმოების მიმდინარე წლის ორი თვის გეგმები.

▼ ▼

გამარჯვებული სოფლელები

უშკანდა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს სისტემაში საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1987 წლის შედეგები. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდი „ი. ბროზ ტიტომ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი ვიმპელი და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა. სამინისტროს კოლეგიამ აღნიშნა თბომავლების „დავით გურგანაშვილისა“ და „მხატვარ გერასიმოვის“ ეკიპაჟების წარმატებები.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემებს შორის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გიმარჯვეს, გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურეს „ხერსონისა“ და „აკადემიკოს დავთიაიას“ ეკიპაჟებმა. შორე აღმოსავლეთ გამოვიდნენ „ეგენი ვახტანგოვისა“ და „ფოთის“ ეკიპაჟები. აღინიშნა „კაპტან ა. კაჭარავას“, „გიორგი ლეონიძის“, „კაპიტან მაკაცარიის“, „ქარელი-სა“ და „ანაკლიის“ ეკიპაჟების კარგი მუშაობა, აგრეთვე ბათუმის ნავსადგურის კოლექტივის წარმატებანი.

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა

18 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. განიხილეს კომისიის მუშაობის 1987 წლის შედეგები და გარდაქმნის ახალ ეტაპზე 1988 წლის ამოცანები პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ი. ვ. კაპიტონოვმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმი, თქვა მან, რომელმაც განიხილა საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობა და მისი შემდგომი განხორციელების ღონისძიებანი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა პლენუმზე წარმოთქმულ მკაფიო, შინაარსიან სიტყვაში დასახა თანამედროვე ეტაპზე პარტიის ideოლოგიური ბრძოლა ეს ამოცანები.

სხდომაზე აღინშნა, რომ შარშან ცენტრალური სარევიზიო კომისიის საქმიანობა მიზნად ისახავდა პარტიაში სარევიზიო მუშაობის გააქტიურების, ადგილობრივი სარევიზიო კომისიებისათვის მეთოდიკური დახმარების გაღრმავების, საჯაროობის გაფართოების. შემოწმდა პოლიტგამოცემლობის მუშაობა, ჩეჩნეთ-ინგუშეთის პარტიულ ორგანიზაციაში საწერეოების გადადგა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის საყოფაფლებაში საქმეების გატარებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა და სხვა.

მომხსენებელმა და ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მთლიანად სარევიზიო მუშაობა პარტიაში რამდენადმე გამოცოცხლდა, ბევრი სარევიზიო კომისია უფრო სრულად ახორციელებს თავის ფუნქციებს და უფლებამოსილებებს, კრიტიკულად ივსებს საქმის ვითარებას, უფრო გაბედულად აღლენს ნაკლოვანებებს. ამავე დროს ბევრმა მათგანმა ვერ დაძლია ინერციის ძალა, ვერ გაშალა ნამდვილი მუშაობა. ამიტომ გარდაქმნის ახალ ეტაპზე უნდა გავღრმავოთ სარევიზიო მუშაობაში მიმდინარე პოზიტიური ძვრები, შევძინოთ მას ახალი შინაარსი.

სხდომაზე დაამტკიცეს სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის 1988 წლის მუშაობის გეგმა.

რევოლუციის მეგზაროლი

საბუდამოდ შეავიდა რევოლუციური მოძრაობის მატიანეში მ. ი. ულიანოვს — ვ. ი. ლენინის დისა და თანამებრძოლის სახელი.

ყმაწვილობიდანვე იგი თავდადებით ებრძოდა მუშაობა კლასის სამსახურისათვის ყველა უბანზე, სადაც კი პარტია გზავნიდა, მთელ თავის ძალ-ღონეს აბრალი ხალხის სამსახურს. უზარმაზარი გამოცდილება, ცოცხალი ურთიერთობა მშრომელებთან ეხმარებოდა მას პასუხსაგებ პარტიულ და სახელმწიფო საქმიანობაში. დიდი ხნის მანძილზე მარიამ ილიას ასული ულიანოვა მუშაობდა გაზეთ „პრავდის“ პასუხისმგებელ მდივნად, იყო მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ეს ითქვა მისი დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც 18 თებერვალს მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში გაიმართა.

(საკდესი).

ᲙᲘᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲔᲥᲝ

სკოლა გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი მიმართულებით

ყველაფერი, რაც სკოლას, განათლებასა და აღზრდას ეხება, უშუალოდ უკავშირდება სოციალიზმის განვითარებას, გარდაქმნას, ხაზგასმით აღინშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში მ. ს. გორბაჩოვმა. სწორედ ახლა დგას საკითხი დღეს, როცა ჩვენი საზოგადოება ახორციელებს რადიკალურ გადასვლას თვისებრივად ახალ მდგომარეობაზე. ქვეყანას განათლებული, მტკიცე რწმენის და, ამავე დროს, აქტიური, მაძიებელი, ისეთი ადამიანები სჭირდება, რომლებსაც უნარი შესწევთ იცხოვრონ და იმუშაონ დემოკრატიის, მიმდინარე ეკონომიური თუ სოციალური გარდაქმნების პირობებში.

ვინ უნდა განსაზღვროს კონკრეტული გზები, რომლებითაც განათლების სისტემის განახლება წარიმართება? რა თქმა უნდა, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის საზოგადოებრივობას და, უწინარეს ყოვლისა, სპეციალისტებს — პედაგოგებს, მეცნიერებს, ყური დაუგდოთ მათ...

ᲐᲕᲐᲛᲐᲚᲚᲝᲗᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲬᲜᲔᲝᲑᲐ

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გარდაქმნა დროის დაკინებული მოთხოვნაა. მართლაც, თვით ცხოვრება გვარწმუნებს, რომ მიზანშეწონილია უარის თქმა წვრილმან მეურვეობაზე, რომ უნდა დამკვიდრდეს საჯაროობა და დემოკრატიზაცია, აი ამიტომ გვესახება ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სკოლის ზნეობის ამაღლება. და აქ გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მასწავლებელს, გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს მოქმედ პირს. მართლის ყველა ახალ ფორმას არ ჩამოვთვლი, აღვნიშნავ მხოლოდ საკავშირო სამინისტროს მიერ მოწონებულ პედაგოგთა უწყვეტი სწავლების სისტემას და იმას, რომ უკვე შემუშავდა და მოქმედებს დებულება მათი არჩევის შესახებ.

მომწიფდა განათლების სფეროს დიფერენსაციისა და მართვაგების მიელი სისტემის ძირეული გარდაქმნის საჭიროება. ეს საკითხი უკვე დაფაფენეთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სამჭოს წინაშე. უფრო სწრაფად უნდა იცვლებოდეს სწავლების საფუძვლები, მისი მეთოდიკური და მეცნიერული უზრუნველყოფა, უნდა ვიღუნდეთ შრომითი აღზრდისა და სწავლების, გამიჯვნის.

არ შეიძლება არ გვაღელვებდეს მონაცემები ბავშვების, მეტადრე უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების ავადობის შესახებ, იმ ბავშვების რიცხვის ზრდა, რომლებსაც სხვადასხვა დარღვევა აქვთ ფიზიკურ განვითარებაში. ეს ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი მასობრივი ფიზკულტურის როლი, რომელიც, სამწუხაროდ, მეორე პლანზე რჩება.

პირდაპირ უნდა ვთქვათ იმ სერიოზული ტენდენციების შესახებაც, ჩვეული ტერმინით „მიგრაციისა“ რომ აღნიშნავენ. არადა, ეს არის ნახევრად ცარიელი სოფლის სკოლები, კლასები, სადაც ერთი ან ორი მოსწავლეა. ამავე დროს კი გადატვირთულია ქალაქის სკოლები.

უნდა აღინიშნოს ჩვენი სკოლების ინტერნაციონალური ბასიათიც — სწავლება ეძლევა ენაზე მიმდინარეობს. მიხდა მხარი დავუჭირო პლენუმზე გამოთქმულ წინადადებას, რომ წახალისდეს ადგილობრივი ეროვნული ენის სწავლება იმათ მიერ, ვისთვისაც იგი მშობლიური არ არის.

ნ. ᲗᲐᲡᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲑᲐᲒᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲧᲐᲚᲘᲜᲓᲔᲑᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე მწვავედ დაისვა ესთეტიკური აღზრდის საკითხი. ამ პრობლემაზე „ლიტერატურა იმას ნიშნავს, რომ ეფექტურად ბავშვებზე, ჩვენს მომავალზე ვფიქრობთ. ჩემი მტკიცე რწმენით, ესთეტიკური აღზრდა ჯერ კიდევ სკოლამდე დიდი ხნით ადრე, ოჯახში, სკოლამდელ დაწესებულებებში, ბავშვის ცხოვრების პირველი დღეებიდანვე უნდა იწყებოდეს.

მაგრამ დღეს სულ უფრო ძნელდება პატარების ჩაბმა წრეებში, მოზრდილი უფრო მომთხოვნი გახდნენ, თანამედროვე ინფორმაციამ გაუფართოვა მათ თვალსაწიერი. იმისთვის, რომ შვილებისა და ბავშვების ყურადღება მოვაპყროთ აქტიურ თვითმოქმედებას, მისი დონე ძალზე მაღალი, კვალიფიციური უნდა იყოს...

შემოქმედება უბადლო აღზრდელია. მისი გემოს გაგება ყველა ბავშვს შეუძლია, მაგრამ საამისოდ ნიჭიერი პედაგოგებია საჭირო. მე სამუდამოდ დამახსოვრდა ჩემი სკოლის სამეფოს მასწავლებლის ვიქტორ ეგნატეს ძე დანიელის გაკვეთილები. ჩვენ მარტო სასკოლო პროგრამის ფარგლებში როდი ვსწავლობდით სიმღერას. მასწავლებელს მოაქვნდა ოპერების კლავიერები, გვიამბობდა მუსიკაზე და გვიკრავდა კიდეც. მაშინ ფირფიტები არ იყო, ოპერაში მოხვედრაც ჭირდა და კლავიერებიც ცოტა გამოდიოდა. მახსოვს, „ონეგინი“ სწორედ მაშინ დადგიკრა, როცა ლიტერატურაში პუშკინის ამ პოემას ვკვლიდოდით. ამან უკეთ გვაკრძნობინა და გაგვაგაზრებინა ნაწარმოები.

ერთ პოეტს უთქვამს, მშვენიერება კულტურის სფეროა, და არა ყოფისაო. ვირ გიტყვიო, რამდენად სწორია ეს მოსაზრება, მაგრამ ის, რასაც დღეს თვითმოქმედებას ვეუწოდებთ, ხელოვნების არსებობის სწორედ ისეთი ფორმაა, რომლის მეშვეობით მას შეუძლია ყველაზე მეტად შეეწყოს ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებას, ეს მარტო შემსრულებლობა არ გახლავთ, ეს არის აღზრდაც, თვითაღზრდაც და თვითგანათლებაც.

სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ უნდა შეიქმნას საეციალური ცენტრები — ახალი ტიპის დაწესებულებები, რომლებიც ეხება ინტენსიურ შემოქმედი საზოგადოებრიბის კოსმოლოგიაციის ორგანიზებად, მეთოდიკური მეშობის ცენტრებად, თვითსებერ შეიქერეზად, ესთეტიკური აღზრდის მთელი საქმის დაყენების სანიმუშოდ, სიტყლური ფონის ერთ ეტაპად, ეროვნული ფონის ერთ ეტაპად ეროვნულ-საგანმანათლებლო მეშობის საერთო ფონის და, ეროვნულ ყოველსა, მოზარდ თაობასთან ასეთი მუშობის დონის ამაღლებას.

Მ. ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი.

(საპინფორმი).

ᲓᲦᲔᲚᲘᲐ, ᲓᲦᲔᲚᲘ!

ᲐᲚᲒᲔᲗᲨᲘ...

მარნეულის რაიონის ალგეთის მებოსტნეობა-მერძევეობის სახმეთა მეურნეობაში დოლია. უკვე მიიღეს „1988 წლის ნიშულს“ ათასზე მეტი ბატკანი.

მეცხვარეობის ფერმეში ახლა დაახლოებით სამი ათასი სული ცხვარი მყავთ, მათ შორის 1800 ნერგია. მეცხვარეებს გათვალისწინებული აქვთ მილონ თოთქმის ათას ხუთასი სული მოზარდეული. დოლასავეთ დათბუნებულია ფარეხები, საკმარისადაა მომზადებული �აკვები.

სურათებზე: პირველი ბრიგადის ბრიგადირი შამბათ აბელოვი (მარჯვნივ) და მწყემსი მულკადარ ტაგიევი; ახალი დოლის პირველი ბატკანები.

საკინფორმის ფოტოკრონიკა.

სამეუღლი

პირველი ფოთელი, რომელმაც დიდი სამამულო ომის დასაწყისშივე კმრიული მოქმედებით ასახელა მშობლიური ქალაქი და დედამამაკაცული, კომკავშირელი ტანკისტი პეტრე პიტალია იყო. გაზეთი „პრავდა“ ჯერ კიდევ 20 იანვრის ნომერში სპეციალური სამხედრო კორესპონდენტის ი. ცვეტოვის ნარკვევში „ტანკისტები“ აღწერდა ცეცხლის ჩაქაში მოქცეული ძმადნფიციი ტანკისტების მეთოფრ ვ. გუბარევის, რადოტ ა. ბელევეოვის, არტილერისტ მ. ისაკოვისა და მსროელ პ. პიტალიას ბედგარ შეზრძოლებას. თავისი ტანკით მთ ფაშისტთა მასირებული დარტყმები დათრგუნეს, დიდი ზარალი მიაყენეს და წინს

სპეციალური ბიბლიოთეკა

სპეციალური ბიბლიოთეკა

სპეციალური ბიბლიოთეკა

სპეციალური ბიბლიოთეკა

###

...და ისევ პალესტინა

ირაკლი აბაშიძე

I.

უცხოეთის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ-დიპლომატიური ურთიერთობის გლობალური გამოცოცხლება, ჩვენი პალესტინის უდიდეს სახელმწიფოებთან დამოკიდებულების საგრძნობი გაუმჯობესება, ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური გარდაქმნებისა და ახალი აზროვნების საფუძველზე უცხოეთის ბევრ სახელმწიფოსთან დღეისათვის უკვე მიღწეული კონტაქტებისა და კავშირურთიერთობის გაღრმავება ყველა ჩვენგანის გულში ბადებს დიდ იმედებსა და სურვილებს, თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებთან ერთად მივხედოთ ჩვენს ისტორიულ წარსულსაც, რომელიც ამ ქვეყნებთან საუკუნეების გრძელ მანძილზე გვაკავშირებდა. მივხედოთ, უპირველესად ჩვენი ეროვნული კულტურის საზღვარგარეთულ ცენტრებს, რომელთა ბედიც დღემდე განუკურნავ ტკივილად რჩება ჩვენი ხალხის გულში.

ამ მხრივ უსაზღვრო კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობას იწვევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დროული ნაბიჯი პალესტინის ქართული ეკლესიის მონასტრისა და შოთა რუსთაველის ფრესკის იმყოფინდელი მდგომარეობა, და აი, მისი წერილიც. იმავე წლის ნოემბრის თვით დათარიღებული (მომყავს ეს წერილი მთლიანად)

ძვირფასო ბატონო ირაკლი!

ისრაელში დაბრუნებისთანავე წერილი ვერ მოგწერეთ, რისთვისაც მინდოდა თქვენთვის ბოდიში მომეხადა, მაგრამ რასაც შეგპირდით თბილისში ჩვენი შეხვედრის დროს, მე შევასრულე და მინდოდა თქვენთან ეს შეხვედრაც შემდეგი:

ოთხშაბათს, 1974 წლის 30 ოქტომბერს იერუსალიმში მე ვინახულე ქრისტიანული მონასტერი (როგორც ადრე მოგახსენეთ, ენუსტერის—ისრაელის პარლამენტის ახალი შენობა მდებარეობს მის მეზობელ ბორცვზე). მონასტერში მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები და მიღებულ იქნა ყველა ზომები მონასტრის თავდაცვისა-რველი სახის შესანარჩუნებლად. გარე კედლები გაწმენდეს და დაფარეს დეკაბის ხსნარით. მონასტერს აკეთებენ ბერძნულ-მართლმადიდებელი პატრიარქის სასულიერო სემინარიისთვის. მე შევხვდი არქიმანდრიტ ვედემოს, რომელიც შემდეგ თანამეზაზრობას მიწევდა. კარგად დაკოთალიერე ეკლესია, რომელშიც მიმდინარეობდა სამღვაო სამუშაოები. ფრესკა ორი ანგელოზის ფიგურით (იგულისხმება იოანე დამასკელი და მაქსიმე აღმსარებელი. — ი. ა.) და მათ შორის მოთავსებული შოთა რუსთაველი ჯერ ისევ ადგილზეა, კარგადაა შენახული და მის დაცვაზე ზრუნავენ. ეკლესიაში მიმდინარეობს გათხრები და საკურთხევლის მარცხენა მხარეს (თუ სახით საკურთხevlისაკენ დაჯდებთით) ეკლესიის კუთხეში იატაკის დონეზე ოდნავ დაბლა აღმოჩნდა პატარა დარბაზი. ამ დარბაზს აქვს მოზაიკის იატაკი, რომელიც, მართალია, ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ მისი შემჩნევა შეიძლება და ამბობენ, ეს იყო IV საუკუნეში აგებული ეკლესია. არქიმანდრიტმა, რომელიც მე მახლდა, დამარწმუნა, რომ ძველი ქართული ფრესკები და წარწერები (იგულისხმება მთავარ ეკლესიაში) კარგადაა შენახული და ისინი მათ დაცვაზე ზრუნავენ. მე ვნახე ეკლესიაში მთავარი შესასვლელის თავზე შიდა მხრიდან, ბერძნული წარწერის ვეებერთელ, ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა.

ამას გიყვებით დეტალურად, ვასურვებ ჩემს დაპირებას და, დარწმუნებული ვარ, თქვენ დაინტერესდებით ამ ინფორმაციით.

იერუსალიმში არაბებისაგან მივიღე ცნობა სოფელ „მალხას“ მეცხოვრებთა შესახებ და გავიგე — ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ სახლობს იერუსალიმის მახლობლად. შევეცდები ვინახულო ისინი, ვესაუბრო და მიღებული ინფორმაცია მათი ისტორიის შესახებ თქვენ გადმოგიგზავნოთ.

მე და ჩემი შეუღლე გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. ჩვენ შეგიძლია გეკმახსოვრებთ სასიამოვნო შეხვედრა თქვენთან და თქვენს მეგობრებთან.

თაურიგ თოუები“.

III.

უძველესი ისტორიული წყაროები გვიდასტურებს, რომ პალესტინის ჯვრის მონასტერი ქართველებმა დააარსეს ჭრიტეს ქალაქში — იერუსალიმში. და არა მარტო ეს ძეგლი, აქ ქართველებს ოდესღაც მრავალრიცხოვანი ეკლესია და სასტუმრო სახლი ჰქონდათ. ჯვრის მონასტრის ადგილზე, იქ, სადაც, რელიგიური გადმოცემით, მოიჭრა ხე, რომელზეც ქრისტე ჯვარს აცვეს, ქრისტიანობის გარიჟრაჟზე. IV საუკუნეში ქართველებმა ჯერ პატარა სალოცავი აგეს ქართველთა მეფე მირიანის დროს, შემდეგ კი იგი თანდათან იქცა საზღვარგარეთის ერთ-ერთ ქართულ სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად. ვახტანგ გორგასლის დროიდან აგერ ჩვენს საუკუნემდე აქ სოფელ მალხაში, პატარა გარნიზონიც იდგა ამ ძეგლის დასაცავად.

— სამწუხაროა, რომ ქართველთა უდიდესი კულტურული და პოლიტიკური როლი პალესტინის ისტორიაში ჯერ კიდევ შეუსწავლელია, — გვითხრა დიდმა იერუსალიმელმა მეცნიერმა ხაიმ ვარდიმ ქართველ მოღვაწეთა პალესტინური სამეცნიერო ექსპედიციის დროს. — 1960 წელს (ამის შესახებ მე უფრო ვრცელად ვწერდი ჩემს პატარა წიგნში („პალესტინის დღიური“).

ეს პატარა სალოცავი XI საუკუნის პირველ ნახევარში დიდ სამონასტრო კომპლექსად იქცა. იგი საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და შემწეობა-დახმარებით დაარსა ქართველმა მოღვაწემ გიორგი პროხორე შავთელმა.

ჩვენი და უცხოური ისტორიული წყაროების საფუძველზე ასე ჩაეწერეთ ქართულ ენციკლოპედიაში: „ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, შუა საუკუნეების ქართული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი საზღვარგარეთ, პალესტინაში (ახლანდელ ისრაელში)“. დაარსებისთანავე ააწოეკეს იგი 1071 წელს თურქ-სელჩუკებმა იერუსალიმის აღების დროს და ამ დღიდან მას მშვიდობა აღარ ჰქონია. მაგრამ ყოველთვის აღადგენდა და იცავდა ამ დიდებულ სავანეს ქართველთა მტკიცე ნება და მარჯვენა. „დეკანოზ ეფრემ და შეუროვვალიდ“ — ასე აწერია, ვინ იცის რა დროიდან, მისი მოზაიკური იატაკის ცენტრში ლიათონის სისხლისფერ, ოვალურ ფირფიტას. როგა ეგვიპტის სულთანი სალადინი (სალაჰ ალ-დინი) იერუსალიმს შემოესია, ეს სავანე ჩვენთვის კვლავ დაიკარგა. თამარ მეფემ კვლავ იხსნა, არაბული ფულით გამოისყიდა იგი და წარგზავნა იქ თავისი ელჩობა. ქართველის გულსა და გონებას დღესაც სჯერა, რომ ამ ელჩობას მეთაურობდა თამარის ფინანსთა მინისტრი, მეფურ ჭლეეთუხუცესი შოთა რუსთაველი.

აქ მოღვაწეობდა შოთა რუსთაველიც (მთავარ ტაძარში სვეტზე შემოსახლეა მისი ფრესკული პორტრეტი XII-XIII სს. მიჯნაზე). ჯვრის მონასტერში შეიქმნა უცნობ ავტორთა პაგიოგრაფიული თხზულებანი „პროხორეს ცხოვრება“, „ლუკას წამება“ (XIV ს.), „ნიკოლოზ დვალის მარტვილობა“ და სხვა. ....„ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების დიდი ნაწილი ანლა იერუსალიმის ბიბლიოთეკაში დაცული, ხოლო ზოგიერთი სინას მთაზე, თბილისში, ქუთაისში, ლენინგრადში, ვენაში, პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონში და სხვაგან“. იერუსალიმის ხელნაწერთა ნაწილი XIII საუკუნის ჩათვლით მიკროფილმზეა გადაღებული და თბილისში ინახება.

გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის პირველ წლებში დაიწყო ამ დიდი ქართული სავანის სიძველეების მეცნიერული შესწავლა (ა. ცაგარელი, ნ. მარი, რ. ბლეიკი) მეთვრამეტე საუკუნის სასულიერო პირის ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ მეგზურობით. არქეოლეტურის, ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით ჯვრის მონასტერი ჯერ კიდევ მოელის თავის მეცნიერს; შესასწავლია მისი ფრესკული მხატვრობა, მოზაიკა, სხვა ძველი ქართული რელიკვიები სწორედ ქართული მეცნიერების თვალსაზრისით.

მათგანვე აქვს შეწირული ქ. ტფილისში მამული, წოდებული „ჯვრის მამისად“. აქ ტფილისში არის ეკლესია, გარშემო სახლები და დუქნები, მისი კუთვნილი. ამ დუქნების და ეკლესიის შემოსაგალი უცხოეთში ინახება სემინარია უცხო ტომთა აღსაზრდელად და განასაოლებლად“.

საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ სხვა ადგილზეც არსებობდა ჯვარისად წოდებული „მისი კუთვნილი“ მამულები, მისი შემოსავლით ინახებოდა საუკუნეების მანძილზე მორეული ქართული სავანე. იგზავნებოდა ეს შემოსავალი პალესტინისაკენ, რომლის მხოლოდ ნაწილი აღწევდა დანიშნულების ადგილამდე, მთავარი ნაწილი გზადაგზა ათასგვარი ფათერაკის ალაფი ხდებოდა.

საბოლოოდ, უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე, საქართველოს დაუძლურებისა და ქართველთა დაუდგენრობის მეორეხარისხა პალესტინის ყველა ქართული სავანე, მათ შორის ჯვრის მონასტერიც, დიდ ვალებში ჩავარდნილა. ამ სიძველეთა ფინანსური დახმარების მისაღებად XVII საუკუნეში საქართველოში ჩამოსულა სამი იერუსალიმელი პატრიარქი; ისტორია გვამცნობს მათ სახელებს: თეოფანე, პაისიუსი, დოსითეოსი. დოსითეოსის მეცადინეობით 1659 წელს დიდი თანხა გაჩრდობს (ისევ, მორიდებულად, ჩემი პატარა წიგნიდან):

„მე-18 საუკუნის ნახევრამდის ყოფილან ამ ჯვრის მონასტერში ქართველები წინამძღვარნი და მამანიცა; მე ვნახე ერთი ხანგთის ქალაღდი ათონის ქართველთა სავანეში, რომლითაც ცხადად ჩანს, რომ კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის პატრიარქთა სრულიად გარდაუხდიათ ვალები, რაოდენიც ყოფილან ამ სავანეზედ. გარდაუხდიათ შემწირულებითა, რომელიც საქართველოს მეფისა, პატრიარქისა და ერისაგან მიუღიათ და დანაშთენიც ვითომც, თითონ დაუმატებიათ და აეგზავნებენ ამ ქალაღდით, რომ შეუძლიათ ქართველთა, მიღონ თვის მფლობელობაში ეს მონასტერი. ეს გარდაწყვეტილების პირი გადმოღებულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არქივიდან და ეს დადგენილება არის თარიღით 1702 წელს, თარგმნილი რუსულად და დაბეჭდილი. და ახლა ერთს უბრალო ოთახსაც არ გვითმობენ იმ მამულიდან“.

ამ დროიდან ნელ-ნელა ქრება ქართველის ნაკვალევი ჯვრის მონასტრის კედლებსა და შემოგარენში.

ისევ კონჭოშვილი: „საკურთხevlესი ორსავე მხარეს კედლები ანლად შელესილია თეთრად. ცხადია აქ ქართველთა წმინდანების სახენი წაშლილი და დაფარულია. მე რომ გულმოწუხარედ ვუყურებდი ეგვეთთარს მგზარავლობასა და გავუზიარე ჩემის სულის მჭვნენარება რუსის დეკანოზს, მან ჩაკოთხა ეკლესიის მოსამსახურე ბერძენსნ: ეს კედლები ნახევრად რად არის გათეთრებულია? უგუნურმა მოუგიო: ეს ოსმალთ გაათეთრესო; თითქოს ოსმალთათვის ერთი და იგივე არ იყოს ბერძენთა და ქართველთა წმინდანები“.

საბედნიეროდ, ამ შეთეთრებაშეფერადებისა თუ გადაკეთებაგადმოკეთების მიუხედავად საეკლესიოს ქვეშთი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის კედლებზე მაინც დარჩენილია ბევრი ფრესკული ხატვა, ბერძნული ტექსტებიანი ბერძნული ფიგურები, ეკლესიის ფასადზე

ულუოქოეში

საკრებულო იუწყება
19 თებერვალი

ავღანეთი:

მოწოდება პოლიტიკური ძალებისადმი

მიიღეს მემარცხენე დემოკრატიული პარტიების დოკუმენტი

ქაბული. როგორც სახალხო საგანგებო იუწყება, აქ გაიმართა ავღანეთის მემარცხენე დემოკრატიული პარტიების კავშირის საგანგებო სხდომა. სხდომაზე მიიღეს დოკუმენტი, რომელიც ეძღვნება ავღანეთის შესახებ აკკა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნაჯიბულას განცხადებებს.

მემარცხენე დემოკრატიული პარტიების კავშირი, ნათქვამია დოკუმენტში, ნათელ და მტკიცე პოზიციას ადგას ავღანეთის მდგომარეობის მოწესრიგების საკითხებში, მხარს უჭერს პრობლემის მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით გადაჭრას და თავის მხრივ ყველაფერს იღონებს ამისათვის. კავშირში შემავალი პარტიების აზრით, მოწესრიგებას მიიღწევენ იმ შემთხვევაში, თუ დაიცვენ შემდეგ პირობებს: შეწყდება საზღვარგარეთიდან ჩარევა და უზრუნველყოფილი იქნება მისი განუიარაღებლობის გარანტიები; შეწყდება სისტემისცვლა, ქვეყანაში დაბრუნდებიან ლტოლვილები, უზრუნველყოფენ მშვიდობიან და უსაფრთხო ცხოვრებას ყველა მოქალაქისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიასა და სამხედრო ორგანიზაციას ეკუთვნიან ისინი; შეიქმნება საბჭოთა ჯარების სამშობლოში დაბრუნების პირობები.

მ. ს. გორბაჩოვისა და ი. ნაჯიბულას განცხადებები გამეფდეთ ამ კვირის ნებას ქვეყნისა და რეგიონის რთული პრობლემების მიმართ, ნათქვამია დოკუმენტში. მემარცხენე დემოკრატიული პარტიების კავშირი სავსებით უქმნის მხარს ამ განცხადებებში ჩამოყალიბებულ კონკრეტულ გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს ავღანეთის განეითარების მშვიდობიან პირობებს და განსაზღვრავს მსოფლიოში ავღანეთის მომავალ პოზიციას.

კავშირი უდიდეს მადლობას უცხადებს სსრ კავშირს ყოველმხრივი დახმარებისათვის, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე უწევდა ავღანეთს. ავღანელი ხალხი დიდად აფასებს ამ ტრადიციულ მეგობრობას და არავის არ მისცემს უფლებას შეარყიოს ორ ქვეყანას შორის არსებული კეთილმეზობლობისა და პატივისცემის ისტორიული ურთიერთობა.

მემარცხენე დემოკრატიული პარტიების კავშირი აცხადებს, რომ მადლობელი სსრ კავშირისა ეროვნული შერიგების პოლიტიკის მხარდაჭერისათვის და გამოთქვამს მზადყოფნას ამ კურსით ნოდ შერიგების საქმის სრულ გამოყენებამდე.

კავშირმა მოუწოდა ქვეყნის ზიგნით და მის გარეთ მთელ პოლიტიკურ ძალებს არ გაუშვან ხელიდან ისტორიული შანსი და მონაწილეობა მიიღონ სისტემისცვლისაგან ხალხის განთავისუფლების საქმეში. ავღანელი ხალხი, ნათქვამია დოკუმენტში, შეძლებს თავად, საზღვარგარეთიდან ჩაურეველად, განსაზღვროს თავისი ბედი.

◆ იტალია

ნდობა გამოუცხადეს

რომი. იტალიის მთავრობამ, რომელსაც ქრისტიანი დემოკრატი ჯოვანნი გორია მეთაურობს, ხუთშაბათს დეპუტატთა პალატაში მიიღო ნდობის ვოტუმი. მას მხარი დაუჭირა 364 დეპუტატმა, 208 დეპუტატმა გაიღაჭრა მის წინააღმდეგ.

გორიას მთავრობა გადადგა 10 თებერვალს დეპუტატთა პალატაში სოფრანსსო კონფლიქტის და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს დამარცხებისა სერიოზ შედეგად. მაგრამ იტალიის პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ მთავრობის ერიზასის მოწესრიგების მიზნით გამართული კონსულტაციების დამთავრების შემდეგ უარყო კაბინეტის გადადგომა და შესთავაზა მას დაეყენებინა პარლამენტში საკითხი ნდობის შესახებ.

ახლა სენატში გაიმართება კენჭისყრა გორიას მთავრობისადმი ნდობის საკითხზე.

შემთხვევა

აპარიკა მაღაროში

პარარი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან მოსული ცნობების თანახმად, სამი მეშახტე დაიღუპა ეს ერი დაშავდა ხუთშაბათს ოიანესბურგის მახლობლად მდებარე „უესტერნ დიფ ლეველზის“ ოქროს მაღაროში მომხდარი ავარიის შედეგად. მაშველები ეძებენ კიდევ ერთ მაღაროელს, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

როგორც „ანგლო-ამერიკელ“ კორპორაციის საწარმოს ფლოგელის წარმომადგენელმა განაცხადა, 3.500 მეტრ სიღრმეზე მოხდა აფეთქება, რომელმაც გამოიწვია ქანების ჩამოქცევა.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში შეიქმნა უხიფათო ზონების შექმნის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეხვედრის მოსამზადებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ რესპუბლიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები. კომიტეტის მუშაობა მიმდინარეობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ერიხ ჰონეკერის პატრონაჟით.**

◆ **დელი. დაიწყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული ხაზის პრემიერის ლი კან ბოს ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტი ინდოეთში. გაიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თავრობის ხელმძღვანელისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის მოლაპარაკება. მოლაპარაკებაზე განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები.**

სიახლე

◆ **ასეთი მოწყობილობა შექმნეს ფინელმა ავტოდაზაინერებმა ჩვენი მეზობლებისთვის. მართალია, მახში პრინციპული სიახლეები არ არის, უბრალოდ მსუბუქი ავტომანქანის წინა საკვამელი ახრეს წინ და სპეციალური ხაუტები აკეთება. ერთი ასეთი მოქმედებით ეკი ჩვენი ბავშვის მოხერხებულ „ხავარძლად“ აქცევა. სიახლე უზრუნველყოფს ავტოფეი კრიზისულ სიტუაციებში გაზრდილ უსაფრთხოებას.**

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

პიანისტის საგასტროლო მარშრუტები

საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ელისო ვირსალაძე ამ ბეჭდვიერ მსახიობებს განეკუთვნება, რომელთა ხელოვნებით სსრ კავშირისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსმენელები ყოველთვის აღტაცებული არიან.

ამ დღეებში ელისო ვირსალაძე თბილისში ჩამოვიდა თავის აღსაზრდელთანან ერთად, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით მოსკოვის კონსერვატორიაში იმადლებენ ოსტატობას. მსმენელთა წინაშე წარდგნენ საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები ბორის ბერეზოვსკი და ეკატერინე ვოსკრესენსკაია, თბილისელები ხათუნა კოკოჩაშვილი და მაია ნარიმანიძე. მათმა კონცერტმა, კოსმურატორიის დიდ დარბაზში რომ გაიმართა, მუსიკალური საზოგადოებრივობის დიდი ყურადღება მიიპყრო.

კითხვაზე, მოსწონს თუ არა პედაგოგიური მუშაობა, ელისომ გვიპასუხა: „დიახ, თუ შემომქმედებით სიახლოვეს ვგრძნობ იმასთან, ვისაც ვასწავლი“.

მოვლენებით არის აღსავსე თვით პიანისტის წლევანდელი საკონცერტო სეზონი. გაზაფხულზე იგი კონცერტებს გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში, იტალიაში, ფინეთში, დასავლეთ ბერლინში, ჰოლანდიაში, იუგოსლავიაში.

ზაფხულში ელისო ვირსალაძე ეწვევა ლაიფციგს. იგი მიწვეულია ბახის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრად. ოქტომბერში მონაწილეობას მიიღებს თელავის კამერული მუსიკის ფესტივალში „ქუბა ვაზისა“, რომლის ფუძემდებელი რამდენიმე წლის წინათ თვით პიანისტი გახდა.

▼ ▼

გამოიკვეთა მრავალი პროგლემა

ამ დღეებში მიმდინარე სკკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალაში განსაზღვრის დისკუსიის თემა, რომელიც გაიმართა მრგალი მაგიდასთან ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის ახალგაზრდულ კლუბში. მოსმა ორგანიზატორმა — რაიონის ახალგაზრდა დეპუტატთა საბჭომ ფულადი საუბრისათვის მიიწვია სკოლების დირეტორები, რაიონმასკომისა და მისი სახალხო განათლების განყოფილების, კომკავშვილის რაიკომისა და სპორტკომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. სახალხო განათლების სისტემაში მიმდინარე გარდაქმნის საქმიანმა, საფუძვლიანმა განხილვამ შესაძლებელი გახადა გამოეკვეთათ აქ არსებული მრავალი საპრობლემო პრობლემა, განეცხადებინა ხალხის რეიულთა რული და ადგილი სასკოლო საქმის თვისებრივი გარდაქმნების განხორციელებაში. აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა დეპუტატთა მონაწილეობის გაეკეთებინა სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სრულყოფაში დროის მოთხოვნათა შესაბამისად.

▼ ▼

იტალიური ფირმის შეკვეთით

„მანქანა“, რომელსაც ყველაფრიდან შეუძლია წვნის გამოწერა“ — ასეთი რეპუტაცია მოიპოვა ლენინური უფსკუტი მოქმედების წნეხმა, რომლის კონსტრუქციაც შექმნეს რესპუბლიკაის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა. ახალი მანქანის მიღებლმა ხარისხმა იტალიური ფირმის „ბერეტეცის“ ყურადღება მიიპყრო. ახლახან თბილისს ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანაში დამზადებული წნეხი გიგზავნა მილანში, სადაც მის გამოცდაში მონაწილობას მიიღებენ ქართველი გამმართველები.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების და **ხალხის ფირმის** მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **ლ. ჯინდაძემ.**

წერილი „კომუნისტს“

უკადრისი „ლიტერატური ბრძოლა“

ამა წლის 17 თებერვლის გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა **გივი კარბელაშვილის** წერილი **„არა, ჩვენში არაფერ თერეფა“ ანუ ტყუილი“.** ვინაიდან ავტორმა თავი აარიდა ლიტერატურულ ორგანოებს და პარტიული გაზეთიდან მიმართა საქართველოს საზოგადოებრიობას, ჩვენც საჭიროდ ჩავთვალეთ „კომუნისტის“ საშუალებით გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება ზემოაღნიშნულ პუბლიკაციაზე:

ამ ბოლო დროს ჩვენს პერიოდიკაში დემოკრატიზაციისა და საჯაროობის „გრიფით“, სინამდვილეში კი ამ ცნებების საფარველქვეშ ზოგჯერ ქვეყნდება ისეთი მასალა, ჩირქს რომ ცხებს არა მარტო ქართული მწერლობის ღირსებასა და პრესტიჟს, არამედ საერთოდ მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას.

ამგვარი უკადრისი „ლიტერატურული ბრძოლის“ ფიქტები იმდენად მომძაგელდა, მათი ჩამოთვლაც კი მორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამ ფონზე გ. კარბელაშვილის წერილი, ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველგვარი მწერლური, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფის ნიმუშია. მართალია, სარედაქციო წანამძღვარში აშკარად ჩანს გაზეთის დამოკიდებულება პუბლიკაციისადმი, მაგრამ საჯაროობის ნიღაბაფარებული ამგვარი პასკვილი, ჩვენი აზრით, ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოსატანი მაინც არ იყო.

გ. კარბელაშვილის წერილი რომ ერთ ადგილზე ლიტერატურულ ბრძოლად მოვლენა იყოს, ამ პასკვილს რეგალიერების ღირსადაც არ ჩავთვლიდით, მაგრამ მასში საკრთველოს მწერალთა კავშირის მიმართაც არის წაყენებული ისეთი ბრალდებები, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს. ამიტომაც ვაცხადებთ საჯაროდ: გ. კარბელაშვილის ზემოაღნიშნული სტატია არის ანტიხალხზოგადოებრივი აქტი, რითაც ავტორი, ჩვენი აზრით, დაუპირისპირდა ქართულ მწერლობას და გადუდგა მწერალთა კავშირს, სადაც მისი მტკიცებით, თურმე „სამართალი არ ყოფილა“.

ჩვენ კი ასე გვჯერა: საცა სამართალია, იქ ცილისწამებას გზა უნდა დაეხშოს.

ჟაბუა ამირეჯიბი, რევაზ ამაშუკელი, აკაკი ბაძრაძე, თამაზ ბიბილური, ზაურ გოლქვაძე, აკაკი გაფრარელია, გურამ გეგეშიძე, გივი გეგეჭკორი, გურამ გეფრდფიფილი, გურამ გოგიბაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ თფარაძე, ჯუმბერ თითმერია, კობა იმედაშვილი, რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, ემზარ კვიტაიშვილი, ბურმან ლეგასიძე, თეიმურაზ ფალესაშვილი, ელგუჯა ფალესაძე, რომან ფიმინოშვილი, დავითი მეკიდლური, ეფვერ ნიბარაძე, ია ორჯონიკიძე, სოსო პაიჭაძე, რაფაზ პაფარიძე, ანზორ სალუქვაძე, რევაზ სირაძე, ვლადიმერ სანსარაულიძე, პარჩილ სულეაკაური, გურამ უანდრიკიძე, ფადიმან შამანაძე, თამაზ ჩხენკელი, ავთანდილ ჩხიკვიშვილი, ვალო ჩხიკვაძე, სარგის ცაიშვილი, ბიორგი ციციშვილი, გივი ძნელაძე, ნოდარ ფოლეიხარი, ტარიელ ქანტარია, ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ბაგრატ ჯოხოლელიძე, ფუსია ხარანაული, ვახტანგ ჯაბახაძე, ელიზბარ ჯაველიძე, რევაზ ჯაფარიძე.

19 თებერვალი.

სპორტი

მ ე ო თ ხ ე ჩ ე მ პ ი ო ნ ი

მეორე დღეა კალგარში ოლიმპიური ცეცხლი გიზგიზებს, უკვე გაბამაშდა მედლების 12 კომპლექტი. სპეშოთა ნაკრებს კიდევ ერთი, მეოთხე ოლიმპიური ჩემპიონი შემატა: 1000 მეტრზე ცეგერეტანი. სწრაფბრენაში გაიმარჯვა ანსოლუტურმა მსოფლიოს ჩემპიონმა, მოსკოველმა **ნიკოლაი გულაევმა.** ამავე დისტანციაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მინსკელმა **იგორ ელეზოვსკიმ.** მეორე ადგილზე გამოვიდა 500 მეტრზე რბოლაში გამარჯვებული **უვე მაი** (დგრ).

მოცეგაგე ქალთა შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბაფალი არ ჰყავდათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ **შტეფი ვოლტერი, უტე ოხერმოფერი და კრისტინ ფმიდტი.** ლენინგრადელი იულია ანტიპოვა მეხუთე ადგილზე გავიდა.

ჰოკეიტბმაც დაამთავრეს III ტურის შეხვედრები. თავიანთ ქვეჯგუფებში **ლედერბერგ საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ნაკრები ბუნდები,** რომლებმაც, შეიძლება ითქვას, გაინაღდეს ფინალის საგზური.

მოპოვებული მედლების რაოდენობით წინ კვლავ საბჭოთა სპორტსმენები არიან: 4 ოქროს, 4 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს ჯილდო.

მესამე რაუნდზე გადაწყვეტა

როცა მკითხველი ამ წერილს წაიკითხავს, უკვე ცნობილი იქნება თბილისსა და მოსკოვის დინამოელთა მესამე — დამატებითი მატჩის შედეგიც და ნახევარფინალისტის ვინაობაც. არადა, სტუმრად **მოსკოველები** გამარჯვების შემდეგ, ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ეს მატჩი საერთოდ გაიმართებოდა.

აქვე ერთიც უნდა ითქვას: რასაკვირველია, მოსკოვის „დინამო“ ხელოვნებასაკრავი მეტოქე. არ არის და მასთან ბრძოლა არც ისე იოლია. ეგ კი არა, გუშინწინდელი მატჩის მსელელობა და საბოლოო ანგარიშის მიხედვით თუ ვემსჯელებთ, ძნელი წარმოსადგენიც არის, რომ ეს გუნდი თბილისელებმა ჩემპიონატში სამჯერ დაამარცხეს. როგორც ჩანს, იოლი გამარჯვების ილუზიამ, საკუთარი ეკდენის ფატრონმა და კიდევ იმან, რომ თადარიგში ერთი შეხვედრა იყო, მოადუნა მასპინძელთა საბრძოლო მექანიზმი. ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თბილისელები აშკარად მოუმზადებელი ჩანდნენ და სწორედ ამან განსაზღვრა შეხვედრის ხასიათი. სამე კარგად რომ არ იყო, პირველ ტაიმშივე ნათელი გახდა, მაგრამ უფრო უარესი შესვენების შემდეგ მოხდა: მასპინძლებმა, რაკიდა მარცხი გარდაუვალი ჩანდა, შეიძლება თქვას, მთლიანად შეწყვიტეს წინააღმდეგობა. და ეს საბოლოო ანგარიშშიც გამოიხატა — 76:105.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა — ლატვია — 104:68, „ეკალგენრისი“ — ვეფი — 103:79, „სტრო�იტელი“ — „შახტიორი“ — 97:65. ნახევარფინალში გავიდნენ ცსკა და „ეკალგენრისი“, „სტროitელმა“ და „შახტიორმა“ კი გუშინ მესამედ ითამაშეს.

გუშინ თბილისსა და მოსკოვის დინამოელთა მატჩი მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 89:82 და ნახევარფინალში გავიდნენ.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

საღღეისო ფედერალური

ა ბ ა, ჰ ე!..

... **ბრუნს** მეტი რა საქმე აქვს — ეფიდა იარის. იფურტლება კალენდარი, წელს წელი მოსდევს, საუკუნეს — საუკუნე. იცვლება ხალხი, იცვლება მწერალი, შესაბამისად იცვლება მკითხველიც და თვით ლიტერატურაც, ლიტერატურული გემოვნება და აზროვნება. კიტა აბაშიძე სხვა სტილით და სხვა ტაქტით მიმართავდა მწერალსა თუ მკითხველ, კრიტიკოსსაგან გაშწარებული ილია პირველ ყოველისა თავის თავსა და მკითხველს სეემდა პატეკს, თორემ ორიოდე ციტყვა მსაც ეცოდინებოდა, ალბათ, ისეთი, ეხეჩრეულობის გამო ლექსიკონში რომ ვერ შეიტანა...

ყველაფერი იცვლება-მეთქი, რომ მოგახსენეთ, ეს თქვენც კარგად იცით, შეიცვალა კრიტიკოსის ლექსიკაც და, რაც მთავარია, ზოგიერთი მწერლის დამოკიდებულებაც მწერლისადმი. ეს მკითხველზედაც ახდენს გავლენას. აკამდე მკითხველს მწერალი ღმერთის ტოლად თუ მიაჩნდა. ქუჩაში მოკრძალებით, მოწიწებით ესალმებოდა და დიდხანს უყურებდა დინჯად მიმავალ ერისკაცს. ახლა, ნუთუ უკაცრავად: ის კი არ ირიტერესებს, რა დაწერა მწერალმა, სულ იმის მოლოდინშია, რა ხერხით, რა ხრიკითა თუ ოინბაზობით გადაასწაოს თავს ლაფს ეს იმას და მერე ის ამას.

... ყველაფერი წინ მიდის. იბადებიან ახალი თაობის ლიტერატორები, და „ეცდარ გზას“ რომ არ დაადგნენ, საჭიროდ მიმაჩნია პატარა ლექსიკონი შევთავაზო, რომელსაც არცთუ ისე ბევითად იშველიებენ ჩვენი თაობის შემოქმედები: „... შე უვიცო და უფუგზეურო... თავბედო... ბრიყვო... სულელის ხმა შესმის... მიმიფურთხებია... აშაოლარო... ტუტუცო... შე წერტილ-ძმიანს! უცოდინარო... ანაუზისგებაში მისაცემი ხარ... სადაც შენი დაიკვეხო... ეგეუნერო... ეგეოგეფო ანზის შემთოთხნავო... „ნაგლო“ (ბრაუკალი ჩვენია — ლ.ტ.) — „ეფლეო“ — „ეფლეო“ — „ეფ ქაჩალო...“ თუ „ეფ“ მწეფურია, — სულ გაუნათლებელო... ბიეოლაშენმა რომ... იმდენი მაინც უნდა იცოდე... შე მკვლელის მოგვარეგ... მრავალწერტილი რომ სამი წერტილისაგან შედგება, შე ამის არ მეოდნეგ... კარიერისტო... ქურდო... ფალსიფიკატორო... ლეჭიაა... მიეთმოეთოო... ნაძირალა ელემენტო... რას „ეიკეკეკეს“... ეემეცრების კორონტელო... თითლიბაზო“...

ურიგო არ იქნება, თუ დაუთვლით, რამდენჯერ არის გამოსული ტელეეკრანზე (უნდა მიაძახო — შენი შაშით უთო ვერ ჩამირთვია, იქედანაც შენი ხმა არ გვიგიფონოო), რა ტირაჟით გამოვიდა მისი ბოლო წიგნი (მიაძახე — სულ ეფალ ილიას სიცოცხლეში წესეური ტირაჟი არ ღირსებიაო), რამდენი ბინა გამოიკეცა და შვიილებს რა ბინებს ეტოვებს (მოიშველე, სულხან-საბა ორბელიანი სენაკში რომ ცხოვრობდა), რამდენ ბოთლ ღვინოს სვამდა წინათ! ერთ დალევაზე, რამდენი მანქანა შეიძინა თუ გაყიდა (ბოთა რუსთაველი პალუტანში ფეხით წავიდაო), ვინმე მოგვაკენ გაფლანგვაზე რომ ოყდა ციხეში... თუ მელოტება — დასაცინე: „შე ქაჩალო...“ თუ „შეფეთურია, — სულ მოიგიეიანე თავი სიცილით და „შე რიეა“ უძახე... არ დაინდოთ არც ფეფულმოსილი, არც უნებლიეთ შემცდარი და არც ახალგზდა, არკვიეთ, ვის რა უჭირს თავში.

... დარწმუნებული ვარ, თუ მოშავალი ლიტერატორები ასეთი სიტყვებითა და მეთოდიებით გაამდიდრებენ თავიანთ ლექსიკონსა და მოქმედების არეს, დიდ სამსახურს გაუწევენ მშობლიურ ლიტერატურას და მკითხველს (არა მარტო ჩვენი მკითხველის) თვალში ბოლოდ გაზრდიან ქართველი მწერლის ავტორიტეტს...

რა მნეშვნელობა აქვს მორალურ, ლიტერატურულ თუ ეთიკურ უფლებას, ეს შენს ასაკს, დამსახურებას, თანამდებობას ან იმას, რომელი წრის წარმომადგენელი ხარ. მთავარია, ლანდე მომეშე, თავსლაფი არ ბაალეო, დააკნინე და თუ გულიც გიუბეიქე და საფლავის კარამდე მიიყვანე — აფერუმ შენს ვეკეკლიოსს... მკითხველისთვის, სახოგადოებისთვის ერთნაირად მტკივნეულია ლანძღვა-გინება, ვისაც უნდა ეხეიბოდეს ეს.

... აბა, ჰე!

გურამ ხარაძე.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 22 თებერვალი

პირველი პროგრამა. 13.05 — ტელეკურსელთათვის. სამნიანი დავალების ანალიზი მათემატიკაში. 13.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ეტეყველი ქვები“. 13.55 — ეკონომიკის კურსი. 14.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 14.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 14.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კისას რჩეულნი“. 15.35 — მოსწავლეთათვის რუსული ენა. 16.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ოსტატი. 16.35 — მოსწავლეთათვის. „საქართველოს ისტორია“. 17.05 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 17.15 — განცხადებები. 17.20 — საერთაშორისო დღიური. 17.55 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებისა და კონცერტის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. შესვენებისას — „მოამბე“. 22.00 — „ვრემია“. 22.50 — თეატრალური პანორამა. 0.10 — ზამთრის ოლიმპიადა.

მეორე პროგრამა. 17.35 — მხატვრული ფილმი „ძველი არბატის ზღაპრები“ 19.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 20.20 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 70 წლისთავისადმი. მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ტერორის“ კრახი“. I სერია.

სამშაბათი, 23 თებერვალი

პირველი პროგრამა. 13.05 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წყალი თბილი მიედინება“. 14.05 — ბიბლიოთეკათათვის. ქიმია. 14.35 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 14.45 — დღეს თბილისის კინოთეატრებსა ეკრანებზე. 14.55 — ჩვენს დიდ სამშობლოში „სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აშხაადი“. 15.25 — შვეიწსკელთა ინგლისური ენა. 15.55 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 16.30 — „ჯადოსნური ეკრანი“. 16.45 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 70 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „მემკვიდრეობა“. 18.15 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი პრესკონფერენციაა“. 19.15 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 70 წლისთავისათვის. „მარადისობა და უკვდავება“. 20.00 — მოამბე. 20.40 — სპორტული გადაცემა. 21.30 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 70 წლისთავისათვის. კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 70 წლისთავისათვის. „მეგობრობის სატელევიზიო ხიდი“ (საქართველოსა და სომხეთის ტელევიზიის ერთობლივი გადაცემა). 0.20 — ზამთრის ოლიმპიადა.

მეორე პროგრამა. 16.45 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 70 წლისთავისათვის. დოკუმენტური ფილმი „მშვიდობა ჩვენს სახლს“. 17.40 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმეცნიერება. 18.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჩრდილოეთ ყირიმის არხი“. 19.15 — მასწავლებლის საათი ქართული ლიტერატურა. 20.00 — მოამბე. 20.40 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 70 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ტერორის“ კრახი“. II სერია.

ოთხშაბათი, 24 თებერვალი

პირველი პროგრამა. 13.05 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რაფილი „პორტრეტი“. 16.50 — თეატრალური ალმა. 17.20 — მოსწავლეთათვის. საზეიმო კონცერტი. 17.55 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 67 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა და კონცერტი. შესვენების დროს (19.15) — მოამბე. 21.30 — „ქართველი პოეტები და რევოლუციური საქართველო“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროგეკტორი. 22.50 — კონცერტი 23.30 — ზამთრის ოლიმპიადა.

მეორე პროგრამა. 17.55 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 67 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა და კონცერტი. შესვენების დროს (19.15) — მოამბე. 21.30 — „ქართველი პოეტები და რევოლუციური საქართველო“.



ცისფერ ეკრანზე

ხუთშაბათი, 25 თებერვალი

პირველი პროგრამა. 13.05 — მოსწავლეთათვის. ბიოლოგია. 13.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მარტო გონებით არა“. 13.55 — მასწავლებლის საათი. ინფორმაციისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 14.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 14.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 14.45 — ქართული სატელევიზიო ფილმი „ბოლოდროინდელი ამბავი“. 15.15 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „თავმჯდომარე ბუტეკო“ და „დუშანბე — ეს „ორშაბათია“. 15.55 — შვეიწსკელთა გერმანული ენა. 16.25 — განცხადებები. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბოლოდროინდელი ამბავი“. 16.40 — ხალხური შემოქმედების კონცერტი. 17.45 — ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური გარდაქმნების თავიისებურებათა შესახებ (სტუდიაში პროფესორი გ. გოშაძე). 18.10 — მოსწავლეთათვის. „ფანტასია და მარჯვე ხელები“. 18.40 — რეკლამა. 18.50 — დოკუმენტური ფილმი „შთელი გულით“. ლენინი და საქართველო. მოგონებები, დოკუმენტები (მ.). 19.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ჩეკურთმის საგალობელი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმ-მატიანე „საბჭოთა საქართველო, ანზორ სალუქვაძე, რევაზ სირაძე, ვლადიმერ სანსარაულიძე, პარჩილ სულეაკაური, გურამ უანდრიკიძე, ფადიმან შამანაძე, თამაზ ჩხენკელი, ავთანდილ ჩხიკვიშვილი, ვალო ჩხიკვაძე, სარგის ცაიშვილი, ბიორგი ციციშვილი, გივი ძნელაძე, ნოდარ ფოლეიხარი, ტარიელ ქანტარია, ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ბაგრატ ჯოხოლელიძე, ფუსია ხარანაული, ვახტანგ ჯაბახაძე, ელიზბარ ჯაველიძე, რევაზ ჯაფარიძე.“ 19.15 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი.

შაბათი, 27 თებერვალი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — შვეიწსკელთა ქართული ენა. 10.20 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობა სიკეთით იწყება“. 10.40 — შვეიწსკელთა რუსული ენა. 11.10 — ხალხური შემოქმედება. ანსამბლი „ოდოიას“ კონცერტი (განმეორებით). 11.45 — „მეგობრობის ეკრანი“. 13.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.20 — სიესტრადო პანორამა. 14.05 — პროგრამა „ჯანმრთელობა“. პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 14.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.50 — ახალგარდობისათვის „პენქტუმ კონტრა პუნქტუმ“. 18.10 — საინფორმაციო გამოშვება. 16.20 — ლიტერატურული გადაცემა. „ზზეო ნალილაო“ (ებრაული პოეზია). 17.15 — „კინოშოზიკა“. 17.55 — „ფსიკიის მოყვარულთა კლუბი“. 18.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.40 — „ხელოვნების ლექტორიუმი“ (ჩინეთის ხელოვნება). გადაცემა მეორე. 19.10 — გარდაქმნის წახნაგები. „ჯანონი მოკმედებს“ (გადაცემა მეხუთე). 20.00 — მოამბე. 20.40 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“. პირველი მოქმედება. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროგეკტორი. 22.50 — „რიჩარდ მესამე“. მე-2 და მე-3 მოქმედება.

კვირა, 28 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იწყება ზღაპარი“. 10.05